ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 034/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ზ. თ. /სიითი #1546/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. თ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 03 აპრილს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ზ. თ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 2014 წელს საჩივრის ავტორმა მისი მეუღლისგან - ზ. მ.-სგან გაიცნო ადვოკატი ზ. თ., რომელსაც ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. საქმის წარმოების მიზნით, ადვოკატ ზ. თ.-ს ზ. მ.-მ ჰონორარის სახით ხელზე გადასცა 400 ლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ზ. თ.-მა მის საქმესთან დაკავშირებით მიმართა პროკურატურას საჩივრით, რამდენჯერმე მასთან ერთად იმყოფებოდა საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვაზე, თუმცა აღნიშნულმა მოქმედებებმა შედეგი ვერ გამოიღო. საჩივრის ავტორმა საგამოძიებო ორგანოდან მიიღო წერილი, რომ მის საქმესთან დაკავშირებით სამოქალაქო წესით უნდა ედავა და არა სისხლის სამართლის მიმართულებით. საჩივრის ავტორის მოდავე მხარემ 2017

წლის დეკემბრის თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ს. მ.-ს წინააღმდეგ სადავო ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით. მოცემულ სამოქალაქო საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადვოკატმა ზ. თ.-მა შეადგინა შესაგებელი და წარმოადგინა ს. მ.-ს ინტერესები, თუმცა, საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს სასამართლო სხდომაზე „ერთი სიტყვაც არ უთქვამს საქმესთან დაკავშირებით". საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ზ. თ.-ს მისთვის წინასწარ არ განუმარტავს მისი სპეციალიზაციის შესახებ.

1.4 2016 წლის ნოემბრის თვეში ს. მ.-ს დაუკავშირდნენ ერთ-ერთი ბანკიდან და აცნობეს, რომ მის მიერ ბანკში წარდგენილი განცხადების საფუძველზე შეეძლო სესხის მიღება. საჩივრის ავტორს არ მიუმართავს ბანკისთვის სესხის მიღების მოთხოვნით და აღნიშნულის თაობაზე აცნობა ადვოკატ ზ. თ.-ს, რადგანაც მას ჰქონდა საჩივრის ავტორის პირადი მონაცემები, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ „იხუმრა" და ელექტრონული ფორმით შეავსო განაცხადი, აინტერესებდა თუ გასცემდნენ ამ გზით სესხს. ამავე თვეში, ს. მ. ადვოკატ ზ. თ.-ს შეხვდა მისი თხოვნით. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ეგონა რომ შეხვედრის მიზეზი მის საქმეს უკავშირდებოდა, თუმცა ადვოკატმა სთხოვა, რომ ბანკიდან მისი სახელით სესხი გამოეტანა, რადგან მისი შვილი საავადმყოფოში იმყოფებოდა, ძალიან უჭირდა, ის ბანკების ე.წ. „შავ სიაში" იყო მოხვედრილი და თანხა სასწრაფოდ სჭირდებოდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ენდო ზ. თ.-ს, ვინაიდან, ადვოკატი იყო და ამავე დროს, მის საქმეს აწარმოებდა, რის გამოც, გადაწყვიტა მას დახმარებოდა. ს. მ.-მა მეტროსადგურ „მარჯანიშვილის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული „საქართველოს ბანკის" ექსპრეს სერვისცენტრიდან თავისი სახელით სესხის სახით გამოიტანა 1200 ლარი და გადასცა ადვოკატ ზ. თ.-ს, რომელმაც განუცხადა, რომ ის ადვოკატია, „როგორ მოატყუებდა" და თანხას აუცილებლად დაუბრუნებდა.

1.6 2017 წლის 20 იანვარს საჩივრის ავტორი კვლავ შეხვდა ადვოკატ ზ. თ.-ს მისი თხოვნით, თბილისში, სავაჭრო ცენტრ „ქარვასლას" მიმდებარე ტერიტორიაზე. ს. მ.-ს ადვოკატმა სთხოვა კვლავ აეღო სესხი საკრედიტო კომპანიებიდან. ს. მ.-ს განმარტებით, მას ადვოკატმა განუცხადა, რომ „ახალი საქმეები ჰქონდა აღებული", მალე ექნებოდა თანხა და ერთიანად დაფარავდა ყველა სასესხო ვალდებულებას.

1.7 საჩივრის ავტორი ისევ ენდო ზ. თ.-ს, რადგანაც მისი ადვოკატი იყო და თავისი სახელით, ადვოკატის თხოვნით, ორი საკრედიტო კომპანიიდან ცალ-ცალკე 200 ლარის და 700 ლარის ოდენობით გამოიტანა სესხი და მთლიანი თანხა გადასცა ადვოკატს.

1.8 2017 წლის იანვრის თვეში ს. მ.-ს მეორედ დაუკავშირდა ადვოკატი ზ. თ., რის შემდგომაც, მას შეხვდა სავაჭრო ცენტრ „თბილისი ცენტრალში". ადვოკატმა განუცხადა „ამ ერთხელაც გამოეტანა მისთვის სესხი ბანკიდან", რის შემდგომაც, ს. მ.-მა თავისი სახელით კვლავ აიღო სესხი ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან 800 ლარის ოდენობით და გადასცა ადვოკატ ზ. თ.-ს, რომელიც დაჰპირდა რომ „არ დააღალატებდა" და ერთიანად გადაიხდიდა თანხას.

1.9 ს. მ.ს განმარტებით, მას ეშინოდა მიმდინარე საქმეზე უარყოფითად არ ასახულიყო მისი უარი თანხის მიცემაზე, რის გამოც ადვოკატი ზ. თ.-ს ყოველ მოთხოვნაზე გამოჰქონდა სესხი ბანკიდან და აძლევდა ამ თანხას ადვოკატს. მისივე განმარტებით, ის ენდობოდა კიდეც ადვოკატს და სჯეროდა, რომ აღებულ თანხას უკან დააბრუნებდა და ბანკთანაც თავად მოაგვარებდა ყველა პრობლემას, რომელიც ამ სასესხო ურთიერთობას უკავშირდებოდა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, გარკვეული ხნის გასვლის შემდგომ, მას უკავშირდებოდნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, ბანკიდან და სთხოვდნენ რამდენიმე სესხის დაფარვას, რის თაობაზეც ადვოკატი ზ. თ. ამბობდა, რომ „ყველაფერს მოაგვარებდა“.

1.11 ს. მ. ადვოკატ ზაქარია თვალიაშვილთან ერთად იმყოფებოდა პრობლემური სესხების განყოფილებაში, სადაც სესხის ნაწილ-ნაწილ დაფარვა შესთავაზეს, თუმცა ამის მიუხედავად, ადვოკატმა ზ. თ.-მა არ შეასრულა არცერთი სასესხო ვალდებულება, რის შემდგომაც, აღნიშნულის თაობაზე საჩივრის ავტორმა მიმართა პროკურატურას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 23 მაისს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ზ. თ.-მა წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატი არ გამოცხადდა განხილვის კოლეგიის 2019 წლის 27 მაისის და ამავე წლის 28 ივნისის სხდომებზე. ადვოკატს კომისიისთვის არ უცნობებია სხდომებზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი.

2.2 ადვოკატის საპროცესო ეტაპზე წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, მან 2014 წელს გაიცნო ზ. მ., რომელმაც უთხრა, რომ მის საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემა. კერძოდ, ბინის გამყიდველს გადაუხადა 20 000 დოლარი, თუმცა შემდგომ, გამყიდველმა უძრავი ქონება სხვა პიროვნებას გადაუფორმა. ადვოკატმა განუმარტა ზ. მ.-ს და მის მეუღლეს ს. მ.-ს, რომ ეს თაღლითობის საქმე იყო და შეეძლო გაეწია მათთვის საადვოკატო მომსახურება, კერძოდ, წარადგენდა საჩივარს პროკურატურაში მოდავე მხარის წინააღმდეგ, სამოქალაქო მიმართულებით დავას კი - „აზრი არ ჰქონდა“.

2.3 2017 წელს ს. მ.ს წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს სამოქალაქო საქმეზე, სადავო ბინიდან გამოსახლების მოთხოვნით, რა დროსაც ადვოკატმა ზ. თ.-მა სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა ს. მ.-ს ინტერესები.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ის საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობაზე საჩივრის ავტორთან არ შეთანხმებულა და მისგან არ მიუღია ჰონორარი 400 ლარის ოდენობით. ადვოკატს ს. მ. და მისი მეუღლე პერიოდულად აძლევდნენ „სახარჯო თანხას“, რამაც ჯამში შეადგინა დაახლოებით 150 ლარი.

2.5 ადვოკატი უარყოფს იმ გარემოებას, რომ საჩივრის ავტორმა რამდენიმე საკრედიტო ორგანიზაციიდან სესხი გამოიტანა მისთვის გადაცემის მიზნით. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს რამდენჯერმე ახლდა ბანკში (კონკრეტულად არ ახსოვს სად ახლდა და რამდენჯერ) სესხის დაფარვასთან დაკავშირებით, რადგან პრობლემა ჰქონდა და დაეხმარა, თუმცა მას საჩივრის ავტორისგან „არანაირი სესხი არ მიუღია და ეს სიცრუეა“ და ეს ფაქტი რომ სინამდვილეს შეესაბამებოდეს, ს. მ.-მა უნდა იდავოს სამოქალაქო წესით და გააჩნდეს თავისი პრეტენზიის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება. ადვოკატის განმარტებით, ის საბანკო დაწესებულებების ე.წ. „შავ სიაშია“ მოხვედრილი.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 05 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია - იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ზ. თ.-მა საჩივრის ავტორს მომსახურება გაუწია იმ სფეროში, რომელშიც მას არ აქვს სპეციალიზაცია,

შესაძლოა, დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5.

3.3 საპროცესო კოლეგია მიიჩნია - იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ზ. თ.-მა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, საჩივრის ავტორს სესხის სახით გამოატანინა თანხა რამდენიმე საკრედიტო ორგანიზაციიდან მისთვის გადასაცემად, შესაძლოა, დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2 და მუხლი 3.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

4.1.1 ს. მ.-მა მის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავაზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, მიმართა ადვოკატ ზ. თ.-ს და გაუფორმა მინდობილობა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება (პუნქტები: 1.2; 3.2).
2017 წლის 05 მაისს გაფორმებული რწმუნებულება;
2017 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული რწმუნებულება;

4.1.2 ადვოკატი ზ. თ. არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებ. გვერდზე www.gba.ge გადაწყვეტილების მიღების დროისთვის გამოქვეყნებული ადვოკატთა ერთიანი სია.

4.1.3 2017 წელს ადვოკატი ზ. თ. წარმოადგენდა ს. მ.-ს ინტერესებს სასამართლოში, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები (პუნქტები: 1.3; 3.3).

4.2 მხარეებს შორის სადაოა შემდეგი ფაქტი: მიაწოდა თუ არა ადვოკატმა ზ. თ.-მა საჩივრის ავტორს ინფორმაცია თავისი სპეციალიზაციის შესახებ.
კომისია ეყრდნობა ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთის მითითებას და ასევე, ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორის მიერ წერილობით და ზეპირი ფორმით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებას;

საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის სპეციალიზაციის თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანა. კომისია დადგენილად მიიჩნევს საჩივრის ავტორის სურვილს, მიეღო კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება. ამაზე მიუთითებს ისეთი მოქმედებების განხორცილება, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს

კანონის 11.8 მუხლის შესაბამისად ადვოკატის მომსახურების სფეროს განეკუთვნება, იხ. პუნქტი 1.3: პროკურატურისთვის საჩივრით მიმართვა, გამოკითხვაში მონაწილეობა საგამოძიეობ ორგანოებში, შესაგებლის შედგენა, წარმომადგენლობა საქალაქო სასამართლოში.

ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მან მიაწოდა პოტენციურ კლიენტს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას არ ჰქონდა სამართლის იმ დარგში სპეციალიზაცია, რომელშიც კლიენტს სჭირდებოდა საადვოკატო მომსახურების მიღება. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ საჩივრის ავტორის განმარტება, რომლის მიხედვით ადვოკატს მისთვის აღნიშნული არ უცნობებია. ადვოკატს აღნიშნულზე კვალიფიციური შედავება არ განუხორციელებია.

4.3 მხარეებს შორის სადაოა შემდეგი ფაქტი: ადვოკატმა ზ. თ.-მა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, საჩივრის ავტორს სესხის სახით გამოატანინა თანხა რამდენიმე საკრედიტო ორგანიზაციიდან მისთვის გადასაცემად და შემდგომ, არ დაუბრუნა.

ს. მ. მიუთითებს აღნიშნულზე თავის საჩივარში, ამასთან განმარტავს, რომ 2018 წლის 04 აპრილს მან ზემოაღნიშნულ ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით ადვოკატ ზ. თ.-ს წინააღმდეგ მიმართა პროკურატურას (პუნქტები: 1.6; 1.7; 1.8).

საქმის განხილვის ეტაპზე, კოლეგიამ საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე 2019 წლის 04 ივნისს მიმართა თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, რაზეც 2019 წლის 19 ივნისის პასუხის მიხედვით, საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე სანამა და ზაურ მამრიკიშვილების მიმართ განხორციელებულ შესაძლო თაღლითობის ფაქტზე. კერძოდ, საქმის გამოძიებას საფუძვლად დაედო ს. მ.-ს განცხადება, რომლითაც იკვეთება, რომ ს. მ.-მა მისი საქმის მოგვარების მიზნით, რაც ეხებოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ მისთვის მიყენებულ დიდ მატერიალურ ზიანს, მიმართა ადვოკატ ზ. თ.-ს. „ამ უკანასკნელმა შესაბამისი იურიდიული დახმარების გაწევის ნაცვლად, სხვადასხვა დროს ჯამში 3050 ლარი ვითომდა სესხის სახით გამოართვა ს. მ.-ს, თუმცა უკან დაბრუნების მაგივრად თანხა მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა და დღეის მდგომარეობით საგამოძიებო ორგანოსთანაც უარყოფს თანხის სესხად აღების ფაქტს“.

ადვოკატი კომისიაში წარმოდგენილი განმარტებით უარყოფს, რომ საჩივრის ავტორმა რამდენიმე საკრედიტო ორგანიზაციიდან სესხი გამოიტანა იმ მიზნით, რომ მისთვის გადაეცა (პუნქტი: 3.5).

საჩივრის ავტორის ბრალდება ადვოკატის მიმართ, ეფუძნება მხოლოდ თავის განმარტებას, ზოგადად თანხის გადაცემის დასამტკიცებლად არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მხარის ზეპირი განმარტება და ფულის გადაცემის ფაქტის სადაოობისას საჭიროა სხვა მტკიცებულებებიც, (შეად. სამოქალაქო კოდექსის 624 მუხლი). თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ზემოაღნიშნული წერილის მიხედვით ირკვევა, რომ ს. მ.-ს მიერ ადვოკატ ზ. თ.-ს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე მიმდინარე გამოძიება არ არის დასრულებული. შედეგად კომისია ადგენს, რომ საქმეში არ არის საკმარისი მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა ზ. თ.-მა ს. მ.-ს გამოატანინა თანხა რამდენიმე საბანკო დაწესებულებიდან მისთვის გადასაცემად.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. თ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ზ. თ.-მა, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა სამოქალაქო დავაში ს. მ.-ს ინტერესების წარმომადგენლობისას დაარღვია შემდეგი ნორმა:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 - ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

6.2 „ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეთა, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს…" „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 11.8 მუხლი.

6.3 ეთიკის კომისიას აქვს მყარად დადგენილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისად, სამართლის დარგში სპეციალიზაციის ქონის გარეშე, ადვოკატის მომსახურება არ ითვლება კლიენტის კვალიფიციურ მომსახურებად. მრავალ გადაწყვეტილებების შორის მოვიყვანთ რამდენიმეს: „ეთიკის კომისია არ იხილავს, რამდენად კვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა ადვოკატმა კონკრეტულ შემთხვევაში. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს თავად იმ ფაქტს, რომ ადვოკატს არ ჰქონდა შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, რაც ქმნის იმის რისკს, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი"(ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე №017/11), ამასთანავე, „საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში, ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს საჩივრის ავტორის ინტერესები, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული" (ეთიკის კომისიის 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, საქმეზე №091/13).

6.4 ადვოკატი ზ. თ. არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე მოქმედი ადვოკატი, თუმცა, მან სანამ მამრიკიშვილთან შეთანხმების და მასთან გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე აიღო ვალდებულება, წარედგინა მისი ინტერესები სამოქალაქო დავაში.

6.5 კლიენტი ადვოკატს მიმართავს სწორედ მისი პროფესიული უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე და მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ, რადგან თავად განსაზღვროს ის საფრთხეები და რისკები, რაც არასპეციალიზებული ადვოკატის მის საქმეში ჩართვას უკავშირდება. მოცემულ შემთხვევაში, ს. მ.-ს არ ჰქონდა შესაძლებლობა განესაზღვრა მისი ინტერესების დაცვისთვის სურდა თუ არა სამოქალაქო საქმე ეწარმოებინა იმ ადვოკატს, რომელიც ამ მიმართულებით არ იყო კვალიფიციური. არასათანადო სპეციალიზაციით წარმომადგენლობის განხორციელებით, ზ. თ.-მა დაარღვია კვალიფიციური წარმომადგებლობის ვალდებულება.

6.6 ვინაიდან, არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ზ. თ.-მა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას, საჩივრის ავტორს სესხის სახით გამოატანინა თანხა რამდენიმე საკრედიტო ორგანიზაციიდან მისთვის გადასაცემად, არ დადგინდა საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული შემდეგი ნორმების დარღვევა:

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2).

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 3).

6.7 კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ადვოკატმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საფრთხეს შეუქმნის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვას. მათ შორის ადვოკატი არ უნდა შევიდეს კლიენტთან ისეთი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რამაც შესაძლოა დააზიანოს კლიენტის ინტერესები. კლიენტის მიერ ადვოკატის მითითებების შესაბამისად მოქმედება, ადვოკატისადმი ნდობით და მისი პროფესიული თვისებების არსებობით არის გამოწვეული. შესაბამისად, ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს კლიენტის ნდობით და არ უნდა მიაყენოს მის ინტერესებს ზიანი.

6.8 კლიენტისთვის სესხის აღების მოთხოვნის წაყენება და შემდგომ ამ თანხის ადვოკატისთვის გადმოცემა არ წარმოადგენს არც კეთილსინდისიერ მოქმედებას ადვოკატის მხრიდან და არც ნდობiს გაძლიერებას უწყობს ხელს ადვოკატის მიმართ. თუ კლიენტისგან მიღებული სესხის თანხა მნიშვნელოვანია, რაც კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგენს ადვოკატის კლიენტისგან დამოუკიდებლობა, რაც უშუალო კავშირშია დამოუკიდებელი პროფესიული რჩევის მიღებასთან, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ნაწილია. „ადვოკატს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან... კომისია მხედველობაში იღებს არამარტო კლიენტისათვის ზიანის მიყენების რეალურ შემთხვევას, არამედ, ასევე ასეთი ზიანის მიყენების რისკს, რომელიც არამხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს შეეხება, არამედ, საფრთხე ექმნება ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებით ნაწილის მიმართ კლიენტებისა და საზოგადოების სხვა წევრთა ნდობას, რადგან საზოგადოებას ასეთ შემთხვევებში, ექმნება წარმოდგენა ადვოკატთა მიმართ, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო საშუალებებით ცდილობენ კლიენტისათვის წარმომადგენლობის განხორციელებას.“ (იხ. 2011 წლის 07 მარტის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე 057/10). მიუხედევად იმისა, რომ დეკლარირებული პრინციპები პირველ რიგში გამოსაყენებელია ადვოკატის მარეგულირებელი ნორმების მიზნის ასახსნელად და ამ მიზნიდან გამომდინარე მათი განმარტებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს კონკრეტული ქცევის მომწესრიგებელი ნორმა, შესაძლოა

პრინციპები გამოყენებულ იქნას ადვოკატისთვის პროფესიული ვალდებულებების წარმომშობ დებულებებად. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი აიძულებლდა კლიენტს აეღო სესხი, ის დაარღვევდა მომსახურების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებას (აპეკ-ის 8.5).

6.9 კომისიამ უნდა შეუსაბამოს გონივრული, პროპორციული და ეფექტიანი სახდელი ადვოკატის ქმედებას. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.11 ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის დარღვევით განხორციელებულ მომსახურებასთან დაკავშირებით მოიცავს, როგორც დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებას (ეთიკის კომისიის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №035/13, ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №125/13), ასევე დისციპლინური სახდელის დაკისრებას (ეთიკის კომისიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №017/11; ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №030/11, 2018 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე № 011/18, ეთიკის კომისიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №053/18).

6.12 მოცემულ შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას ეთიკის კომისია ითვალისწინებს, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის, რაც შემამსუბუქებელი გარემოებაა. ასევე, კომისია ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას კომისიაში საქმის განხილვის მიმართ, მათ შორის იმ ფაქტს, რომ ადვოკატი ზ. თ. არ გამოცხადებულა განხილვის კოლეგიის არცერთ სხდომაზე და არც წერილობითი ფორმით მოუწოდებია განმარტება განხილვის კოლეგიისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე მიეცა შესაძლებლობა ეთიკის კომისიის წინაშე წარმოედგინა თავისი პოზიცია. შედეგად საქმისწარმოების განმავლობაში ადვოკატს არ უღიარებია მის მიერ კვალიფიციური მომსახურების გაწევის ვალდებულების დარღვევა და არც მისი სამომავლოდ გამოსწორებისთვის მზადყოფნა განუცხადებია. ამ პირობებში, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე, ადვოკატის მიმართ გამოყენებული იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რაც იქნება დასახული მიზნით მიღწევის გონივრული და პროპორციული საშუალება.

6.13 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1.ა), 35 მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №034/18 ადვოკატ ზ. თ.-ს მიმართ /სიითი №1546/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. ადვოკატ ზ. თ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქარაძე/